ქალაქ თბილისის მერია

2005596
12/1312147-16
13.05.2013

დავით დანელია (01024034923),
თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 4 ბ. 19

ქ. თბილსის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #12/1212147-16 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად #12/31360-16 სარეკომენდაციო წერილით პროექტის კორექტირებისათვის განსაზღვრული 30 კალენდარულ დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ითვალისწინებს 120 დღემდე გაგრძელებას.

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

ვასილი მუჯირიშვილი

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 12/31360-16 05 04 2013 წ.

შ.პ.ს. „თბილისი მოლი"-ს წარმომადგენელს დავით დანელიას
მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღრიშვილის №135

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი №12/31360-16 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 30 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა) №53682 08.02.32013წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. №135-ში თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევების გათვალისწინებით: **B და C ბლოკები:** შეცვლილია შიდა კიბეების კონფიგურაცია და გაბარიტი. საფეხურების რაოდენობა არ ემთხვევა საპროექტოს. ასევე კიბის კონსტრუქციები, მასალა და საყრდენი ლითონის კოლონები არ არის აღნიშნული პროექტში. რკინა-ბეტონის და სენდვიჩპანელის კედლები არ არის განსხვავებულად მოცემული. „1-1" ღერძის გარეთ მოწყობილია გენერატორი, ტრანსფორმატორი და წყლის გადამყვანი მილები. არ არის აღნიშნული სანიაღვრე არხი. „9-8" მონაკვეთში გაზრდილია გარე კიბის გაბარიტი. „j^1-k^1" მონაკვეთში გაუქმებულია კიბის უჯრედი და შემცირებულია ფართი დაახლოებით 31კვ.მ-ით. „i^1-j^1" მონაკვეთში მოწყობილია კიბის უჯრედი. გეგმის ნახაზებზე არ არის აღნიშნული დახრილი ლითონის კოლონები და გარე კედლებში დამატებით მოწყობილია მილკვადრატები. შეცვლილია ლიფტის შახტების გაბარიტი. შახტების მასალა (რკინა-ბეტონის და ლითონის) პროექტში არ არის განსხვავებულიად მოცემული. +0.00 ნიშნულზე „7-8" მონაკვეთში სანკვანძის კედელს მონაცვლებულ აქვს ადგილი. +0.00 და +3.50 ნიშნულებზე „10-15" მონაკვეთში კედელში მოწყობილია ღიობები. „k^1-n^1" მონაკვეთში „9-9" ღერძთან შემცირებულია ბაქნის სიგანე 0.5მ-ით. +7.00 ნიშნულზე „11-10" მონაკვეთში დამატებულია კარის ღიობი. გაზრდილია სახურავის გაბარიტი. გაზრდილია ანტრესოლის სიგანე 0.3მ-ით. „15-16" მონაკვეთში კიბის უჯრედის ნიშნული გაზრდილია 15სმ-ით. „f^1-j^1" მონაკვეთში შეცვლილია სახურავის შველერის დახრის კუთხე. „11-11" და „14-14" ღერძებზე მოწყობილია კედლები. „14-11" მონაკვეთში ოფისების მეორე სართულის თავზე მოწყობილია რკინა-ბეტონის ფილა. ოფისების შენობის ძირის მოპირკეთება არ არის აღნიშნული პროექტში.

„f-a" ფასადი: შეცვლილია სახურავის ქვეშ ლითონის დეტალების ფორმა და ფერი. დამატებულია ჟალუზები. „b-a" მონაკვეთში შეცვლილია მოაჯირის ნახატი, დამატებულია ლითონის დეტალები. შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი და ვიტრაჟში მოწყობილია ფანჯარა.

„a-f" ფასადი: შეცვლილია სახურავის ქვეშ ლითონის დეტალების ფორმა და ფერი. დამატებულია ჟალუზები. აწეულია +7.000 ნიშნული და ცოკოლი მოპირკეთებულია ლითონის ფურცლებით. შესასვლელ ღიობებზე მოწყობილია სლაიდური ჭიშკარი და ლითონის პანდუსები. **„e-f"** მონაკვეთებში ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი.

„16-1" ფასადი: „16-16" ღერძის გარეთ მოწყობილია კედელი და ჭიშკარი. „15-16" „13-12" და „9-8" მონაკვეთში მოწყობილია სლაიდური ჭიშკარი. „11-11" ღერძთან მოწყობილია წყლის შემკრები მილი. „11-10" მონაკვეთში მოწყობილია სარეკლამო აბრა. „9-1" მონაკვეთში მეორე სართულზე შემცირებულია ღიობების სიმაღლე დაახლოებით 0.6მ-ით. „7-2" მონაკვეთში კიბის ქვეშ შეცვლილია ლითონის კონსტრუქციის ნახატი და მოაჯირზე დამატებულია ლითონის სახელური. +7.00 ნიშნულზე „4-3" მონაკვეთში გაზრდილია კედლის გაბარიტი და დამატებულია ლითონის დეტალი. +0.00 და +7.00 ნიშნულებზე მოწყობილია ჯიხურები. ფასადზე მოწყობილია საკომუნიკაციო მილები. არ არის აღნიშნული სახურავის ძირები. „12-10" მონაკვეთში შეცვლილია გრუნტის ნიშნულები და მოწყობილია საყრდენი კედელი. „2-1" მონაკვეთში და „1-1" ღერძის გარეთ მოწყობილია საყრდენი კედელი და მოაჯირი.

„1-16" ფასადი: ფასადზე მოწყობილია საკომუნიკაციო და გამწოვი მილები. მოწყობილია სამი ფრამუგა და ორი ფანჯარა. „1-2" მონაკვეთში შემცირებულია კედლის ფორმა. „2-7" მონაკვეთში დამატებულია კედელი.

ღია ავტოსადგომი: ტერიტორიის კეთილმოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. ტერიტორიაზე განთავსებულია და მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის ჯიხურები. გაუქმებულია გამწვანების ზოლები. შეცვლილია ლამპიონების ფორმა. შეცვლილია დეკორატიული ბეტონის კედლის გაბარიტი და ნახატი. **„a-a"** ღერძზე ერთ ლამპიონს მონაცვლებული აქვს ადგილი. **„c-b"** მონაკვეთში მოწყობილია ლითონის ღობე და ჭიშკარი. **„f-f"** ღერძის გარეთ მოწყობილია კედელი.

დამხმარე შენობა: დამხმარე სათავსოზე შეცვლილია ღიობების ფორმა, რაოდენობა, გაბარიტი და მათ მონაცვლებული აქვთ ადგილი. შენობა მოწყობილია კონსოლზე. „1^1-2^1" მონაკვეთში დამატებულია გამწოვი და კანალიზაციის მილი. შეცვლილია შიდა კიბის გაბარიტი. „1^1-1^1" ღერძთან შეცვლილია ლითონის დეკორატიული ელემენტის გაბარიტი.

პროექტის რენდერები და დანარჩენი ნაწილი არ შეესაბამება ერთმანეთს. „14-11" მონაკვეთში გეგმის და ფასადის ნახაზებში ვიტრაჟების გაბარიტი და რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს. „f^1-j^1" მონაკვეთში გეგმის და ჭრილის ნახაზებში პანდუსის სიგანე არ ემთხვევა ერთმანეთს.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

სამსახურის
უფროსისი მოადგილე ვ. მუჯირიშვილი